სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/13

(ოქმი N16)

ქ. ბათუმი 11 ივლისი 2019 წ

## სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის $35^4$ მუხლის მესამე პუნქტის თანახმად:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის ოდენობა შეადგენს 267 915 (ორას სამოცდაშვიდიათას ცხრაასთხუთმეტი) ლარს. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის $35^4$ მუხლის მესამე პუნქტის თანახმად ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 2%-ს, შესაბამისად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა (მრჩევლები) ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 178 610 (ასსამოცდათვრამეტიათას ექვსასათი) ლარს.

2. განისაზღვროს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა ჰონორარის ოდენობა და დამტკიცდეს დანართი N1 შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 11 ივნისის N01-01/15 (ოქმი N9) გადაწყვეტილება, მრჩეველთა საბჭოს წევრთა ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის ვადაში მისი გამოქვეყნების დღიდან.

5. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე „ajaratv.ge".

6. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2019 წლის 11 ივლისიდან.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი

დანართი N1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა (მრჩევლები) ჰონორარის ოდენობა

| N | პოზიცია | რაოდენობა | ჰონორარი | სულ თვეში |
|---|---|---|---|---|
| 1 | მრჩეველთა საბჭოს თავმდჯომარე | 1 | 3300 | 3300 |
| 2 | მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე | 1 | 3100 | 3100 |
| 3 | მრჩევლები | 3 | 3025 | 9075 |
| | ჯამი | | | 15475 |